Sinopharm – 500 000

22 მარტს, საქართველოს ელჩმა შეხვედრა გამართა **ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს** ევროპისა და ცენტრალური აზიის დეპარტამენტის გენერალური დირექტორის მოადგილესთან, ბატონ იუ ძუნთან (Yu Jun), რომელთანაც განხილული იქნა COVID-19-ის საწინააღმდეგო ჩინური ვაქცინის შეძენის საკითხი.

ბატონ იუ ძუნს გადაეცა ქართული მხარის თხოვნა, ჩინური ფარმაცევტული კომპანია „Sinopharm"-ის ვაქცინის დამატებით 500 000 (ხუთასი ათასი) დოზის შეძენასთან დაკავშირებით და გამოვთქვით იმედი, რომ ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ხელს შეუწყობს საკითხის პოზიტიურად გადაწყვეტას, როგორც ეს თებერვლის თვეში მოხდა, იმავე კომპანიიდან შეძენილი 100 000 დოზის შემთხვევაში. ამასთან ერთად, გაუზიარეთ ინფორმაცია, რომ „Sinopharm"-ისგან რამდენიმე დღის წინ შეძენილი 100 000 დოზა ვაქცინის თბილისში ტრანსპორტირების საკითხი უკვე ბოლო ეტაპზეა და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი ფაქტი არ მოხდა, 3 აპრილისთვის სამედიცინო ტვირთი უკვე საქართველოში იქნება.

იუ ძუნმა აღგვითქვა, რომ მიწოდებული თხოვნა დაუყოვნებლად გადაეცემა შესაბამის ადრესატებს შეხვედრის დასრულების თანავე (ჩინეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელობას და Sinopharm-ის ხელმძღვანელობას).

მისი თქმით, ჩინეთი ცდილობს მაქსიმალურად გაითვალისწინოს პარტნიორი ქვეყნების თხოვნები, თუმცა ბევრი რამ დამოკიდებული იქნება ზოგად ვითარებაზე. კერძოდ, მან განაცხადა, რომ დღეისათვის ჩინეთი ჩამორჩება ვაქცინაციის შიდა გრაფიკს, რაც უმეტესად გამოწვეულია ვაქცინების არასაკმარისი რაოდენობით. მიუხედავად ამისა, ჩინეთი ეცდება დაიცვას ერთგვარი ბალანსი, ვაქცინებზე არსებულ მზარდ შიდა მოთხოვნასა და საერთაშორისო ვალდებულებებს შორის, რაც მას, როგორც გლობალურ მოთამაშეს აკისრია".

იუ ძუნი ასევე შეეხო მეორე ჩინური ფარმაცევტული კორპორაციის „Sinovac" ვაქცინასაც (CoronaVac) და აღნიშნა, რომ რაც უფრო ადრე გაივლის ხსენებული პრეპარატი საქართველოში ავტორიზაციას (საგანგებო სიტუაციებში გამოყენებისთვის), მით უფრო მალე მიეწოდება ის ქართულ მხარეს ჰუმანიტარული დახმარების სახით.

23 მარტს, საქართველოს ელჩმა გამართა მორიგი შეხვედრა **„Sinopharm"- ის** საერთაშორისო კორპორაციის ვიცე პრეზიდენტთან იან ბინგთან (Yan Bing, Vice President of China Sinopharm International Corporation) საქართველოსათვის „Sinopharm"-ის ვაქცინის (ტიპი: Inactivated SARS-CoV-2 Vaccine) დამატებითი 500 000 დოზის შეძენის საკითხთან დაკავშირებით.

„Sinopharm"-ის ვიცე პრეზიდენტის განმარტებით, მოცემულ ეტაპზე, ჩინეთი იმყოფება ადგილობრივი მოსახლეობის მასშტაბური ვაქცინაციის აქტიურ ფაზაში, რაც იმას ნიშნავს, რომ შიდა მოთხოვნა COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაზე გაზრდილია და გარკვეული

დეფიციტიც კი შეინიშნება. შესაბამისად, უახლოეს თვეებში ჩინური ბიოფარმაცევტული კომპანიები გეგმავენ წარმადობის გაზრდას და ასობით მილიონი დოზა ვაქცინის წარმოებას, სადაც „Sinopharm"-ის ხვედრითი წილი 60%-ზე მეტი იქნება. გაზრდილი შიდა მოთხოვნის გამო, „Sinopharm"-ი დროებით ვერ შეძლებს ვაქცინის ზომაზე მეტი რაოდენობის გატანას ექსპორტზე, თუმცა მაქსიმალურად ეცდება საერთაშორისო პარტნიორების დახმარებას. რაც შეეხება ქართული მხარის მორიგ თხოვნას, ვიცე პრეზიდენტის თქმით, უფრო რეალისტური იქნება, თუ მოხდება ვაქცინის საქართველოსათვის საჭირო რაოდენობის შუაზე გაყოფა და ორ ეტაპად შესყიდვა. კერძოდ, იან ბინგმა აღნიშნა, რომ ა.წ. ზაფხულის დასაწყისში (სავარაუდოდ ივნისში), Sinopharm-ი შეძლებს საქართველოს მიაწოდოს ვაქცინის 250 000 დოზა (I ეტაპი), ხოლო წლის ბოლომდე კიდევ 250 000 დოზა (II ეტაპი).